დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

შესავალი

დიდი ხანია, რაც ინტერნაციონალიზაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - თსუ) ფუნდამენტური ღირებულება და მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. თსუ ძალისხმევას არ იშურებს, რომ ხელი შეუწყოს ინკლუზიურ სამეცნიერო გარემოს, რომელიც უფრთხილდება და აფასებს მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს კულტურათაშორის ურთიერთგაგებას და ამზადებს სტუდენტებს, პროფესორებსა და პერსონალს გლობალურ სამყაროში წარმატებისთვის.

თსუ 1918 წელს დაარსდა გამოჩენილ მეცნიერთა ჯგუფის მიერ, რომელთაც განათლება უცხოეთში ჰქონდათ მიღებული. უნივერსიტეტმა პირველ საინაუგურაციო ხელშეკრულებას საერთაშორისო უნივერსიტეტთან ჯერ კიდევ 1966 წელს მოაწერა ხელი. ამის შემდეგ იგი მუდმივად აფართოებს პარტნიორი ინსტიტუტების ქსელს, რომელიც, მსოფლიოს მასშტაბით, ამჟამად 300-ზე მეტ უნივერსიტეტს მოიცავს.

Magna Charta Universitatum-ის პრინციპების შესაბამისად, თსუ მხარს უჭერს ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომლებიც ხელს უწყობს კრიტიკული, ინოვაციური და პროგრესული მიდგომების დამკვიდრებას ყველა მიმართულებით, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისითაც. თსუ იცავს პრინციპებს, რომლებიც მოცემულია **ბოლონიის პროცესისა და მდგრადი განვითარების მიზნებში, 2030.**

გლობალურ ცოდნასა და ინოვაციურ პროცესებში წვლილის შესატანად თსუ პრიორიტეტულად მიიჩნევს კვლევის ნაყოფიერების ამაღლებას საერთაშორისო თანამშრომლობის გზით, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის სწავლებისა და სწავლის თვალსაზრისით გამამდიდრებელი გამოცდილების უზრუნველყოფასთან ერთად, რითაც მათ სთავაზობს გლობალური სტანდარტების შესაბამის აკადემიურ გარემოს. ეს პროცესი მოითხოვს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან პარტნიორობაზე კონცენტირებას, რათა შესაძლებელი გახდეს უნივერსიტეტში არსებული სტანდარტების შედარება და შეფასება საუკეთესო გლობალურ პრაქტიკასთან მიმართებით. ძირითადი აქტივობები მოიცავს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების გაცვლას, ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებისა და ორმაგი დიპლომების პროგრამების შემუშავებას, მრავალეროვნული კვლევითი პროექტების ხელშეწყობასა და უნივერსიტეტის გლობალურ რანჟირების სისტემებში მონაწილეობას. ასევე, თსუ-ს მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებასთან შესაბამისობაში მოჰყავს უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა, პედაგოგიკა და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები.

გლობალური აკადემიური სრულყოფილების მიღწევა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც გულისხმობს მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოების თავდადებას. თუმცა, აკადემიური წარმატების დონის ასამაღლებლად ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევაზე კონცენტრირებით თსუ მიისწრაფვის მსოფლიო დონის უნივერსიტეტის რეპუტაციის

მოპოვებისაკენ და იმისკენ, რომ გახდეს საქართველოს უპირველესი გლობალური უნივერსიტეტი.

წინამდებარე **ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის** დოკუმენტი, რომელიც თსუ-ს 2024-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას ეფუძნება, ადგენს სტრატეგიულ ჩარჩოსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც არეგულირებს თსუ-ის ძალისხმევას საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და საერთაშორისო გავლენის ამაღლების კუთხით. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ამ დოკუმენტში ასახულ სტრატეგიულ ინიციატივებზე დაყრდნობით, თსუ მიისწრაფვის გლობალური რეპუტაციის მდგრადი და ადაპტირებადი გზით გაძლიერებისაკენ.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სფეროები და ამოცანები, რომლებიც თსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პროცესს წარმართავს.

ხედვა

თსუ-ს აქვს ამბიცია, კვლავაც დარჩეს რეგიონში გამორჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც ცნობილია თავისი მრავალფეროვანი საერთაშორისო პარტნიორობითა და ამის შედეგად მოპოვებული მიღწევებით, ასევე, აკადემიური სრულყოფილებისა და გლობალური ჩართულობისადმი ერთგულებით. სტრატეგიული ინტერნაციონალიზაციის ინიციატივებზე დაყრდნობით, თსუ გეგმავს:

- დინამიური სასწავლო გარემოს ხელშეწყობას, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტების წარმატებას გლობალიზებულ საზოგადოებაში,
- ინკლუზიურობის კულტივირებას, სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მკვლევრების მოზიდვას მთელი მსოფლიოდან,
- გლობალურად ინტეგრირებული სასწავლო პროგრამების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ურთიერთდაკავშირებულ და დინამიკურ გლობალურ გარემოში სტუდენტების წარმატებას,
- აქტიურ ჩართვას საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობასა და უმაღლეს საგანმანათლებლო ქსელებში, გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად.

მიზნები

ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, თსუ-ს ძირითადი მიზნებია:

1. **გლობალური აკადემიური სრულყოფილების მიღწევა**

როგორც წამყვანი ეროვნული უნივერსიტეტი, თსუ მიისწრაფის გლობალური სრულყოფილებისაკენ, სწავლების, კვლევისა და საერთაშორისო საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირისაკენ. ამ მიზნის მისაღწევად თსუ ვალდებულებას იღებს:

- აამაღლოს განათლების ხარისხი გლობალური პერსპექტივების სასწავლო გეგმებში ინტეგრირებით,
- შექმნას საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროგრამები,
- გაუმდიდროს სტუდენტებს სწავლის გამოცდილება გლობალური პარტნიორობისა და ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის საშუალებით,
- მოიზიდოს ნიჭიერი საერთაშორისო სტუდენტები, განავითაროს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დამხმარე სერვისები.

2. **საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა და ინოვაცია**

კვლევის ინტერნაციონალიზაციისადმი თსუ-ის ფუნდამენტური მისწრაფება გამომდინარეობს თვალსაზრისიდან, რომლის მიხედვითაც თანამედროვე სამყაროს კომპლექსური კვლევა საჭიროებს მრავალმხრივ მულტიკულტურულ, ინტერდისციპლინურ მიდგომებს მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით, რომლებიც რეზონანსული გახდება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, თსუ:

- აქტიურად განავითარებს არსებულ თანამშრომლობის პრაქტიკას, მოიძიებს და დაამყარებს ახალ პარტნიორულ ურთიერთობებს საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან,
- წაახალისებს და მხარს დაუჭერს პერსონალის გლობალურ პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას,
- გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინურ კვლევას.

3. **გლობალური ჩართულობა**

ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორობის, კავშირებისა და პროფესიული წრეების მეშვეობით გლობალურ პროცესებში ჩართვა გადამწყვეტია უმაღლესი განათლებისა და კვლევის განვითარების ტენდენციების აღსაქმელად მთელ მსოფლიოში. ამგვარი ჩართულობა ფუნდამენტურია ცნობადობის ამაღლებისა და თსუ-ს ხმის ფართო აუდიტორიისთვის მისაღწევადაც. ამ მიზნის მისაღწევად თსუ-მ უნდა:

- გააძლიეროს ინსტიტუციური პარტნიორობა უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებსა და სამთავრობო ორგანოებთან მთელ მსოფლიოში,
- გააფართოვოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები,

- აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებსა და აკადემიურ ქსელურ ორგანიზაციებში,
- პოპულარიზაცია გაუწიოს ქართულ ენასა და კულტურას მიზანმიმართული პროგრამებითა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

სხვადასხვა მიმართულებით გლობალური ჩართულობის გაღრმავების თვალსაზრისით თსუ ცდილობს, გააძლიეროს თავისი საერთაშორისო პროფილი, განაგრძოს ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება და გლობალურ აკადემიურ საზოგადოებას გაუზიაროს ქართული პერსპექტივა.

4. ინსტიტუციური განვითარება

თსუ-სთვის უმნიშნელოვანესი საჭირობაა ინსტიტუციის მუდმივად განვითარებაზე ზრუნვა, რათგან ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს საერთაშორისო არენაზე სანდო პარტნიორის სტატუსი გვქონდეს. უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციის მუდმივად განვითარება ხელს უწყობს თსუ-ს იოლად მოახდინოს ადაპტირება მუდმივად ცვალებად საგანმანათლებლო გარემოში და სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ზოგადად, საზოგადოების დინამიურ საჭიროებებს დროულად გასცეს პასუხი. საკუთარი პროგრამებისა და რესურსების მუდმივად გაძლიერებით, თსუ-ს შეუძლია შეინარჩუნოს რელევანტურობა და კონკურენტული უპირატესობა გლობალურ საგანმანათლებლო არეალში.

ამასთანავე, ინსტიტუციური განვითარება ხელს უწყობს ინოვაციისა და აკადემიური სრულყოფილების კულტურას, აღნიშნული კი უბიძგებს უნივერსიტეტს მუდმივად გაუმჯობესოს სწავლება, კვლევა და ადმინისტრაციული პროცესები, გაითვალისწინოს რა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკა და მრავალფეროვანი პერსპექტივები. ყოველივე ეს შესაძლობლობას მისცემს თსუ-ს მოიზიდოს და შეინარჩუნოს საუკეთესო უნარების მქონე აკადემიური პერსონალი, მკვლევარები და ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა კონტრიბუცია უმნიშვნელოვანესია საერთო წარმატებისთვის. გარდა ამისა, ძლიერი ინსტიტუციის პირობებში თსუ შეძლებს გაუძლოს ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა ეკონომიკური არამდგრადობა, ტექნოლოგიური განვითარება და ცვალებადი საგანმანათლებლო პარადიგმები. საჭიროებაზე დაფუძნებული საერთაშორისო მხარდაჭერით პერსონალის განვითარებასა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართვაში თსუ-ს შეუძლია გამოწვევათა გადალახვა, გაძლება და მის ხელთ არსებული შესაძლებლობების გამოყენება სწრაფი ზრდისა და განვითარებისთვის.

განხორციელების სტრატეგიები

ზემოთქმულის განხორციელების ჩვენეული სტრატეგია ორიენტირებულია რამდენიმე ასპექტზე, მათ შორის:

თსუ იმედოვნებს, რომ მიაღწევს **გლობალურ აკადემიურ წარმატებას** პროგრამული/კურიკულარული **ინტეგრაციის პარადიგმის გამოყენებით**, რომელიც ეფუძნება მრავალმხრივ მიდგომას შემდეგი ინიციატივების მეშვეობით:

- **პროგრამული განვითარება და სრულყოფა:** ამ მიმართულებით გადამწყვეტია სასწავლო გეგმების შემუშავება და გლობალური პერსპექტივების გაფართოება, სხვადასხვა ენისა და კულტურათაშორისი კომპეტენციების ჩართვის მიზნით. ეს სტრატეგიული ღონისძიება მიზნად ისახავს საგანმანათლებლო შინაარსის უფრო ფართო საერთაშორისო კონტექსტში ინტეგრაციას,
- **ერთობლივი და ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორებთან ერთად:** ჩვენი სტრატეგიის ქვაკუთხედია თანამშრომლობითი კავშირები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამებისა და ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამების შესაქმნელად. ამ ინიციატივით თსუ ცდილობს, გაამდიდროს აკადემიური შემოთავაზებები და ხელი შეუწყოს კულტურათაშორის აკადემიურ თანამშრომლობას,
- **აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო ღირებულების პროდუქტის შექმნაში:** თსუ წაახალისებს აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო ღირებულების მქონე პროდუქტის აქტიურად ინტეგრირებას არსებულ კურსებში და პარალელურად ისეთი ახალი პროგრამების შემუშავებას, რაც თანხვედრაშია თანამედროვე გლობალურ ტენდენციებთან. ეს პროაქტიული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ აკადემიური შეთავაზება კვლავაც იყოს დინამიკური, რელევანტური და გლობალური ღირებულების მქონე ინფორმაციის შემცველი,
- **ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რიცხვის ზრდა:** ჩვენი საერთაშორისო მიმზიდველობის გასაფართოებლად მზად ვართ, გავზარდოთ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა. ეს ხელს უწყობს ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიურობას, წარმოქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მრავალფეროვან გლობალურ მონაწილეობას,
- **საერთაშორისო აკრედიტაციის ხელშეწყობა:** თსუ აქტიურად უწყობს ხელს აკადემიური ერთეულების მიერ როგორც არსებული, ისე ახლად შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციას, რაც მიზნად ისახავს გლობალურ დონეზე აკადემიური სტანდარტების დაცვას და შედარებას, ინსტიტუციური სანდოობისა და აღიარების ხელშეწყობის მიზნით.

ამ მრავლისმომცველი ღონისძიებების ერთობლიობა ასახავს ჩვენს ერთგულებას ჰოლისტური კურიკულარული ინტეგრაციის სტრატეგიისადმი, რაც ჩვენს უნივერსიტეტს გლობალური აკადემიური სრულყოფილების თვალსაზრისით მოწინავე პოზიციაზე აყენებს.

აკადემიური პერსონალის განვითარება გადამწყვეტი/ძირითადი კომპონენტია **საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობისა და ინოვაციების მისაღწევად.** აღიარებს რა აკადემიური პერსონალის უმთავრეს როლს ინტერნაციონალიზაციის, როგორც თსუ-ს სწავლებისა და კვლევის ძირითადი პრინციპის განვითარებაში, მზად არის, გააფართოვოს საერთაშორისო ასპარეზზე აქტიური და ინტეგრირებული პერსონალის რაოდენობა.

გარე გლობალური ძალების განლაგება, რომლებიც „სტიმულს აძლევენ "პერსონალის საერთაშორისო დონეზე ჩართულობას და აქტიურობას, სინქრონიზაციას მოითხოვს შიდა ინსტიტუციურ ფაქტორებთან, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან წაახალისონ პერსონალის მონაწილეობა გლობალურ ასპარეზზე. ამ სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია შემდეგი ინიციატივები:

- **დაფინანსებისა და ხელშეწყობის უზრუნველყოფა:** საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, თსუ გამოყოფს დაფინანსებას და ხელს უწყობს პერსონალის ჩართულობას გლობალურ კვლევით ინიციატივებში,
- **საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა:** სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მნიშვნელობის აღიარებით, თსუ ხელს უწყობს პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებზე, ვორკშოპებსა და სემინარებზე. ეს მხარდაჭერა მიზნად ისახავს აკადემიური გამოცდილების გამდიდრებასა და გლობალური მასშტაბის თანამშრომლობის ხელშეწყობას,
- **პერსონალის გაცვლითი პროგრამების გაძლიერება:** კულტურათაშორისი სწავლების, კვლევის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, თსუ გააძლიერებს აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებს. ეს ინიციატივა მოწოდებულია, ხელი შეუწყოს მნიშვნელოვან თანამშრომლობას, ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელოვან გაზიარებას საერთაშორისო აკადემიური საზოგადოებისთვის;

ამგვარად, ჩვენი სტრატეგიის ფარგლებში აკადემიური პერსონალის განვითარების მნიშვნელობის ხაზგასმა წარმოაჩენს თსუ-ს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს გლობალურ დონეზე ინტეგრირებული და გამოცდილი აკადემიური პერსონალის განვითარებას.

ჩვენი საერთაშორისოდ ორიენტირებული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ერთობლივი კვლევითი ინიციატივების გაძლიერებისა და გაფართოების მიზნით, თსუ განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- **ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ხელშეწყობა:** თსუ მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მკვლევართა შორის ინტერდისციპლინური თანამშრომლობის განვითარებას, წაახალისოს სხვადასხვა აკადემიური დისციპლინის დაახლოება. მიზნად ვისახავთ ინოვაციური მიდგომებისა და გადაწყვეტილებების სტიმულირებას კომპლექსური კვლევითი გამოწვევების გადასაჭრელად;
- **ერთობლივი კვლევითი ინიციატივების ხელშეწყობა:** თსუ აქტიურად წაახალისებს და მხარს დაუჭერს ერთობლივ კვლევით ინიციატივებს. თანამშრომლობითი მიდგომა გულისხმობს მკვლევართა კოლექტიური ცოდნისა და გამოცდილების მაქსიმალურ გამოყენებას როგორც თსუ-ში, ასევე გარე პარტნიორებთან თანამშრომლობით, აქტუალური გლობალური საკითხების ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრას.
- **მკვლევართა გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა:** თსუ განავითარებს მექანიზმებს, რათა ხელი შეუწყოს მკვლევართა გაცვლას ჩვენს უნივერსიტეტსა და საერთაშორისო პარტნიორ ინსტიტუციებს შორის. ეს ინიციატივა მოწოდებულია კულტურათაშორისი თანამშრომლობის გასაძლიერებლად და მკვლევარებისთვის ღირებული შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

ამ სტრატეგიული ღონისძიებების განხორციელებით თსუ ცდილობს, შექმნას კვლევითი თანამშრომლობისთვის ხელსაყრელი გარემო, უნივერსიტეტი წარმოდგება, როგორც უახლესი ინტერდისციპლინური ინიციატივებისა და ერთობლივი კვლევითი სამუშაოების ცენტრი/ჰაბი, რომელიც მიმართულია გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად.

თსუ მიისწრაფვის გაამლიეროს თავისი პოზიციები, როგორც გლობალურად ჩართულმა ინსტიტუციამ, რაც აქტიურად უწყობს ხელს აკადემიური, კვლევითი და ერთობლივი აქტივობების ინტერნაციონალიზაციას. ამ მიზნის მისაღწევად, თსუ გეგმავს შემდეგი ინიციატივების განხორციელებას:

- **პარტნიორობის გაძლიერება-გამყარება:** თსუ-ს განზრახული აქვს უკვე არსებული პარტნიორობის გაძლიერება და ახალი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი თანამშრომლობის დამყარება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს პროაქტიული მიდგომა მიზნად ისახავს გააფრთოოს თსუ-ს საერთაშორისო კავშირები და მისი გავლენა,
- **საერთაშორისო სუბიექტებთან თანამშრომლობა:** თსუ ცდილობს, გააძლიეროს თანამშრომლობა არა მხოლოდ აკადემიურ ინსტიტუტებთან, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ინდუსტრიულ პარტნიორებსა და კვლევით ინსტიტუტებთან. მრავალფეროვანი პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობით ჩვენ მიზნად ვისახავთ, შევქმნათ ძლიერი ქსელი, რომელიც სცდება აკადემიურ წრეებს და ხელს უწყობს მრავალმხრივ ჩართულობას.

თსუ ისწრაფვის, შექმნას აქტიური და ინკლუზიური აკადემიური გარემო, ხელი შეუწყოს მნიშვნელოვან საერთაშორისო ჩართულობას და სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მიაწოდოს ღირებული გამოცდილება, რომელიც სცდება ტრადიციულ საზღვრებს. ამ გარემოს შესაქმნელად თსუ გეგმავს შემდეგი ინიციატივების განხორციელებას:

- **სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა:** თსუ მოწოდებულია, ხელი შეუწყოს და გააძლიეროს სტუდენტთა და პერსონალის გაცვლითი პროგრამები პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს კულტურათაშორისი გამოცდილების, აკადემიური თანამშრომლობისა და მრავალფეროვანი პერსპექტივების გაზიარებას,
- **ინგლისურენოვანი კურსების დივერსიფიკაცია:** თსუ ცდილობს ინგლისურენოვანი კურსების დივერსიფიკაციას, რომლებიც მორგებულია მობილობისა და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თსუ-ში ჩამოსული, პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტების საჭიროებებსა და ინტერესებზე. ეს ინიციატივა უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და ადაპტირებულ სასწავლო გეგმას, აძლიერებს აკადემიურ გამოცდილებას პროგრამების საერთაშორისო მონაწილეებისთვის,
- **გაცვლითი და მობილობის პროგრამების ფარგლებში მიღებული უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობა:** თსუ გააგრძელებს მობილობისა და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თსუ-ში ჩამოსული, პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტების უნივერსიტეტის აკადემიურ და სოციალურ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. ეს მოიცავს მხარდაჭერის მექანიზმებს, საორიენტაციო პროგრამებსა და აქტივობებს, რომლებიც შექმნილია ამ კატეგორიის

სტუდენტების ინტეგრაციის გასაიოლებლად და მათი ზოგადი გამოცდილების გასაუმჯობესებლად,

- **სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება:** თსუ აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო კონკურსებში, კონფერენციებსა და კვლევით ინიციატივებში. ეს ინიციატივა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, ჩაერთონ სამეცნიერო დისკურსში და საკუთარი წვლილი შეიტანონ გლობალურ აკადემიურ დიალოგში.

თსუ მიზნად ისახავს, **გააძლიეროს ინსტიტუციური შესაძლებლობები,** შექმნას ძლიერი საფუძველი მდგრადი ინტერნაციონალიზაციისთვის და ხელი შეუწყოს დინამიკურ გარემოს, რომელიც ეხმარება აკადემიურ წარმატებას გლობალურ ასპარეზზე. ამ მიზნის მისაღწევად თსუ გეგმავს შემდეგი ინიციატივების განხორციელებას:

- **ინვესტირება უცხოური ენის შემსწავლელ საგანმანათლებლო პროგრამებში:** თსუ მზად არის, განახორციელოს ინვესტიცია უცხოური ენის შემსწავლელ საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა გაუმჯობესოს როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლების უცხო ენის ცოდნის დონე. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს, გააძლიეროს ეფექტური კომუნიკაცია და მეტად შეუწყოს ხელი ინკლუზიურ და გლობალურად ორიენტირებულ აკადემიურ გარემოს,
- **პროფესიული განვითარების პროგრამების ხელშეწყობა:** ინტერნაციონალიზაციის პროცესში პერსონალის გადამწყვეტი როლის გაცნობიერებით თსუ აქტიურად შეუწყობს ხელს პროფესიული განვითარების პროგრამებს. ეს ინიციატივები მოწოდებულია, რომ პერსონალი აღჭურვოს საჭირო უნარებითა და ცოდნით, რათა ეფექტიანად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის გლობალურ ჩართულობას;
- **დონორების მიერ დაფინანსებულ ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტებში ჩართულობა:** თსუ აქტიურად ჩაერთვება დონორების მიერ დაფინანსებულ, საჭიროებაზე დაფუძნებულ განვითარების პროექტებში. ეს სტრატეგიული მიდგომა ეფუძნება გარე მხარდაჭერის გამოყენებას მიზანმიმართული ინიციატივებისთვის, რომლებიც აძლიერებს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს მის განვითარებასა და მდგრადობას.

თსუ მიზნად ისახავს არა მხოლოდ გააძლიეროს თავისი საერთაშორისო ხილვადობა, (მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში) არამედ გააძლიეროს თავისი რეპუტაცია გლობალურ დონეზე, გაუმჯობესოს უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური სრულყოფილებისა და თანამშრომლობის ცენტრის პოზიცია გლობალურ ასპარეზზე. ამ მიზნის მისაღწევად თსუ გეგმავს შემდეგი ინიციატივების განხორციელებას:

- **მიზნობრივ საერთაშორისო ქსელებსა და საგანმანათლებლო ბაზრობებში მონაწილეობა:** თსუ მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს მიზნობრივ საერთაშორისო აკადემიურ და პროფესიულ ქსელებში, ასევე საგანმანათლებლო ბაზრობებში. ეს სტრატეგიული ჩართულობა მიზნად ისახავს თსუ-ს გლობალური ცნობადობის ზრდას, მნიშვნელოვანი კავშირების დამყარებას და თსუ-ს აკადემიური შეთავაზებების პოპულარიზაციას საერთაშორისო პლატფორმებზე,
- თსუ-ს **რეიტინგის გაუმჯობესება მიზნობრივ უნივერსიტეტების საერთაშორისო რანჟირების სისტემებში:** აქ სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭება რეიტინგების

გაუმჯობესებას კონკრეტულ საერთაშორისო უნივერსიტეტების რეიტინგებში. ეს მცდელობა მიზნად ისახავს თსუ-ს გლობალური პოზიციის გაძლიერებას, საერთაშორისო ყურადღების მიპყრობასა და საერთაშორისო მასშტაბით აკადემიური სრულყოფილების მისაღწევად ინსტიტუციის ერთგულების/ვალდებულების დადასტურებას,

- **საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძლობა:** თსუ ინტენსიურად უმასპინძლებს საერთაშორისო ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს გლობალური თანამშრომლობის, ცოდნის გაცვლისა და აკადემიური დისკურსის პლატფორმის შექმნას. ეს ღონისძიებები ემსახურება თსუ-ს მიღწევების ცნობადობის გაძლიერებას, ხელს უწყობს საერთაშორისო კავშირების შექმნას და უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას.

დასკვნა

წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ასახავს ჩვენს ერთგულებას შევქმნათ გლობალურად ჩართული და ინკლუზიური აკადემიური გარემო თსუ-ში. ინტერნაციონალიზაციის მრავალწახნაგოვანი პოლიტიკის რეალიზებისას ჩვენ ვიზიარებთ ტრასფორმაციის პოტენციალს, რომელიც მოაქვს კოლაბორაციულ კვლევებს, კროს-კულტურულ გაცვლებსა და მრავალკულტურული კამპუსის კულტივირებას.

დოკუმენტში ხაზგასმული მიზნები წარმოადგენს ჩვენს მისწრაფებას შევქმნათ დინამიური სასწავლო გარემო, რომელიც სცდება გეოგრაფიულ საზღვრებს, აღვჭურვოთ ჩვენი სტუდენტები ისეთი უნარებითა და პერსპექტივით, რომელიც აუცილებელია სწრაფად ცვალებადი გლობალური სამყაროს სირთულეებს შორის ნავიგაციისთვის.

დოკუმენტში ასახული მიზნები არ არის მხოლოდ რიტორიკა, ეს არ არის ცალკეული სურვილების სია. ის წარმოადგენს უნივერსიტეტის ყოველისმომცველ გეგმას საერთაშორისო პერსპექტივების ჰოლისტური ინტეგრაციისთვის ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური სივრცის ყველა ასპექტში. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ეს ინტეგრაცია გზას გაუხსნის თსუ-ს უფრო გლობალურად ურთიერთდაკავშირებულ და ინტელექტუალურად გამდიდრებულ მომავალს.

მოცემული პოლიტიკა ემთხვევა თსუ-ს განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, რომლებიც ინსტიტუციამ განსაზღვრა 2024-2030 წლებისთვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ დოკუმენტის გააზრება თსუ-ის 2024-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის (SDP) და მისი სამოქმედო გეგმის განუყოფელ ნაწილად.

თსუ-ს აკადემიური სრულყოფილების გლობალურ დონემდე აყვანის მიზნით, ხაზს ვუსვამთ ჩვენს ერთგულებას უწყვეტი შეფასებისა და გაუმჯობესებისადმი, რითაც უზრუნველვყოფთ ჩვენი ძალისხმევის შესაბამისობას საერთაშორისო განათლების მუდმივად განვითარებად გარემოსთან. ამ დოკუმენტში ასახული ინტერნაციონალიზაციის ნაწილის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით დადგენილ მონიტორინგისა და შეფასების უფრო ფართო ჩარჩოებში. ეს მოიცავს არა მხოლოდ სამოქმედო გეგმას, არამედ შესრულების ძირითად ინდიკატორებს, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ ზედამხედველობას და ანგარიშვალდებულებას.